ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6524229001
თარიღი:16/08/2024

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N8

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 14.08.2024 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, ეთერი ჭიჭინაძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, თამარ შენგელია, მალხაზი ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თეონა ადეიშვილი, მაკა ზარნაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ღვიტიძე, გრიგოლ მატარაძე, კობა ტოხვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, ლიზა ტყეშელაშვილი, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი.

/დანართი: N1/

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში **- სალომე ფახურიძე;**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: **ივანე მამფორია**

2. საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: **გელა ჩიკვაიძე**

3. „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: **მამუკა ნამიჭეიშვილი**

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის N 1088 განკარგულების საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადმოცემული, ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე უძრავი ნივთის ნაწილის, ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 521 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ31.01.30.372) და ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.373) გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქ. N 2-ში მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს ,,ბაზა“-სთვის (ს/კ 405359295) იჯარით, სასყიდლით, პირობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -20

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 და N2402 განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ცვლილებითა და საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 24789,6 ათასი ლარით, გადასახდელები 26476,9 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1687.3 ათასი ლარით.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია 24789,6 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 2354,0 ათას ლარს.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 20120,6 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 7320,6 ათას ლარს.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 26476,9 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 2354,0 ათას ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

2. **გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

/დადგენილება: N5/

მოისმინეს:

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 01 აგვისტოს N65-65242145 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ივლისის თვეში საკრებულოს წევრ თითოეულ არათანამდებობის პირს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ 817 (რვაას ჩვიდმეტი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება: N გ-65. 65242272

მოისმინეს:

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა- მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოდგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა: „აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით 2024 წელს შერჩეული პროექტების განხორციელებისთვის მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წლის დაფინანსება შეადგენს 5800,00 (ხუთას ოთხმოცი ათასი) ლარს, რიგი სოფლების პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ გადააჭარბა გათვალისწინებულ თანხას დაამდენად, პროექტების სრულყოფისთვის გადაწყდა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოს და განხორციელდეს 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სოფლების პროექტების თანადაფინანსება და ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა პროექტების სრულყოფის მიზნით თანადაფინანსების სახით გამოიყოს 38,144 (ოცდათვრამეტი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განკარგულება: N გ-65. 6524227001

მოისმინეს:

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს, ,,სახელმწიფო საკუთრებაშიარსებული უძრავი ქონების ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის N 1088 განკარგულების საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადმოცემული, ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე უძრავი ნივთის ნაწილის,ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 521 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ31.01.30.372) და ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე 26

კვმარასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.373) გასხვისებაზე“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ივნისის N 1088 განკარგულების საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადმოცემული, ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე უძრავი ნივთის ნაწილის, ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული 521 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ31.01.30.372) და ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.373) გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

განკარგულება: N გ-65. 65242273

მოისმინეს:

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქ. N 2-ში მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს ,,ბაზა“-სთვის (ს/კ 405359295) იჯარით, სასყიდლით, პირობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის მიხედვით „მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქ. N2-ში მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს,,ბაზა“-სთვის (ს/კ 405359295) იჯარით, სასყიდლით, პირობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.

განკარგულების პროექტის მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი იჯარის წესით გადაეცემა ,,მოიჯარეს“ სარგებლობაში, რომელიც გადაცემულ უძრავი ნივთს გამოიყენებს ბილბორდის განთავსების მიზნით. სარგებლობის ვადა მოიცავს 13.09.2024 წ.-დან 31.12.2024 წ.-მდე პერიოდს და სარგებლობის საფასური შეადგენს - 360 (სამას სამოცი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქ. N 2-ში მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ

31.01.26.431) შპს ,,ბაზა“-სთვის (ს/კ 405359295) იჯარით, სასყიდლით, პირობით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

განკარგულება: №-65. 65242274

“სხვადასხვა“-ში საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი